სამაგისტრო კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები: გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა

მარინე გურგენიძე, ნანი მამულაძე, ანა ოქროპირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
marine.gurgenidze@bsu.edu.ge, n.mamuladze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული მეთოდოლოგიის ხარისხის შეფასებას, როგორც გამოწვევების, ისე საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიკაციას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. ანალიზი ეფუძნება 40 სამაგისტრო ნაშრომის (განათლების მეცნიერებათა მიმართულება, 2016–2024 წწ.) დოკუმენტურ შესწავლას, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მიდგომებს.

კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების სისტემატური, ეტაპობრივი განვითარება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს. პროგრამები, რომლებიც მოიცავენ აკადემიური წერის, კვლევის მეთოდების და პრაქტიკის კვლევის თანმიმდევრულ კურსებს, მეტად აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, ნაშრომებში უკეთესად არის ჩამოაყალიბონ საკვლევი პრობლემა, ანალიტიკურად გადმოსცენ მეთოდოლოგია და შედეგებს ღრმა ინტერპრეტაცია გაუკეთონ. კვლევამ ასევე გამოავლინა გარკვეული სისტემური გამოწვევები: ზოგიერთ ნაშრომში კვლევის შეზღუდვების არასაკმარისი რეფლექსია, მეთოდოლოგიის აღწერითი წარმოდგენა და კვლევის ობიექტის შერჩევის სტრატეგიების არასაკმარისი დასაბუთება. ნაშრომში წარმოდგენილია კომპლექსური რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც ორიენტირებულია კვლევითი ხარისხის შემდგომ გაძლიერებაზე.

საკვანძო სიტყვები: სამაგისტრო ნაშრომი, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი კომპეტენციები, ხარისხის უზრუნველყოფა

1. შესავალი.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის კვლევითი კომპეტენციების, ანალიტიკური აზროვნების და მეცნიერული ხედვის გამოხატულებას. იგი აყალიბებს კრიტიკული აზროვნების უნარებს და ამზადებს მომავალ მკვლევრებს დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობისთვის (Creswell, 2014).

თანამედროვე კვლევითი პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების განვითარების პროცესი. საერთაშორისო გამოცდილება მუდმივად ხაზს უსვამს კვლევის დიზაინის მნიშვნელობას, (Creswell, Creswell, 2018)მეთოდოლოგიური სიზუსტის აუცილებლობას (Cohen, Manion, Morrison, 2018) და მონაცემთა სისტემატური ანალიზის როლს (Miles, Huberman, Saldaña, 2014). უმაღლესი განათლების სფეროში მზარდია ინტერესი იმის გააზრებისკენ, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ან აფერხებს სტუდენტურ კვლევას. ბოლო ათწლეულების კვლევები მიუთითებს, რომ წარმატებული სამაგისტრო ნაშრომი არის სისტემური პროცესის შედეგი, რომელიც მოიცავს ეტაპობრივ უნარების განვითარებას (Paltridge, Starfield, 2007).

ქართულ აკადემიურ სივრცეში შეინიშნება პოზიტიური ტენდენციები - უნივერსიტეტების უმრავლესობამ უკვე დანერგა სტრუქტურირებული მიდგომები მაგისტრატურის პროგრამებში, რომლებიც მოიცავენ აკადემიური წერის, კვლევის მეთოდების და პრაქტიკის კვლევის თანმიმდევრულ კურსებს. ამ მიდგომის შედეგები დამაჯერებელია - სტუდენტები, რომლებიც გადიან ასეთ სისტემატურ მომზადებას, უკეთესად ახდენენ საკვლევი პრობლემის ფორმულირებას, მეთოდოლოგიის შერჩევასა და გამოყენებას, შედეგების ინტერპრეტაციას. თუმცა კვლევითი პრაქტიკის გაუმჯობესების პოტენციალი კვლავ არსებობს. ზოგიერთ ნაშრომში კვლავ შეინიშნება გარკვეული გამოწვევები, რომლებიც მოითხოვს სისტემურ ყურადღებას.

წინამდებარე კვლევა სწორედ ამ პრობლემის სისტემურ გააზრებას, საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიკაციას და პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავებას ისახავს მიზნად.

2. კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის თეორიული საფუძვლები.

კვლევის დიზაინი წარმოადგენს კვლევითი პროცესის საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი მუშაობის ლოგიკას, სტრუქტურასა და თანმიმდევრობას. ჯონ კრესველის (2014, 2018) კლასიკური დეფინიციით, კვლევის დიზაინი მოიცავს ფილოსოფიურ დაშვებებს, კონკრეტულ კვლევით პროცედურებს და დეტალურ მეთოდოლოგიურ ნაბიჯებს, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ კვლევის მიდგომას. სწორად შერჩეული დიზაინი უზრუნველყოფს კვლევის ლოგიკას და საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს სანდო და ვალიდური შედეგები.

კოენი, მენიონი და მორისონი (2018) ხაზს უსვამენ, რომ მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, არამედ კვლევის ფილოსოფიური საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავენ ვალიდურობის კრიტერიუმებს. მეთოდოლოგიის არჩევა უნდა იყოს გააზრებული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს კვლევის მიზნებს, საკვლევ კითხვებს, ხელმისაწვდომ რესურსებს და კონტექსტურ ფაქტორებს. მაილსი, ჰუბერმანი და სალდანა (2014) მიუთითებენ, რომ თვისებრივი კვლევა მოითხოვს ეტაპობრივ მიდგომას მონაცემთა შეგროვებიდან დასკვნების ფორმულირებამდე. მათი სამეტაპიანი ანალიზის მოდელი წარმოადგენს თვისებრივი კვლევის ოქროს სტანდარტს და უზრუნველყოფს ანალიზის სიღრმეს.

თანამედროვე ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ კვლევითი კომპეტენციები არ არის ერთჯერადად შესაძენი უნარები, არამედ მოითხოვს ეტაპობრივ, სისტემატურ განვითარებას (Wisker, 2012). პალტრიჯი და სტარფილდი (2007) აღნიშნავენ, რომ წარმატებული სამაგისტრო პროგრამები ავითარებენ კვლევით კომპეტენციებს თანმიმდევრული კურსების სისტემის საშუალებით, რომელიც იწყება ფუნდამენტური უნარებიდან და მთავრდება კომპლექსური დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებით. კემერონი და ჯეთერი (2013) გამოყოფენ კვლევითი კომპეტენციების განვითარების კრიტიკულ ეტაპებს: აკადემიური წერის დაუფლება, კვლევის მეთოდების შესწავლა, პრაქტიკის კვლევა და დამოუკიდებელი კვლევა. ბური და პარკერი (2016) მიუთითებენ, რომ ეს ეტაპობრივი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ტიპურ მეთოდოლოგიურ შეცდომებს სამაგისტრო ნაშრომებში.

ფილდი (2018) ხაზს უსვამს, რომ კვლევითი ინსტრუმენტის ხარისხი უშუალოდ განსაზღვრავს კვლევის შედეგების სანდოობას. ვალიდაცია მოიცავს რამდენიმე განზომილებას: შინაარსობრივი ვალიდურობა, კონსტრუქტის ვალიდურობა და კრიტერიუმული ვალიდურობა.

პრაისი და მურნანი (2004) აღნიშნავენ, რომ კვლევის შეზღუდვების გააზრება და ღია აღიარება არის სამეცნიერო პატიოსნებისა და კრიტიკული აზროვნების მაჩვენებელი. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვები არ იყოს მხოლოდ ჩამოთვლილი, არამედ კრიტიკულად გააანალიზებული.

3. კვლევის მეთოდოლოგია.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული კვლევითი მეთოდების ხარისხის, თანმიმდევრულობისა და შესაბამისობის შეფასება, როგორც გამოწვევების, ისე საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიკაცია და კომპლექსური რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა ეფუძნება დოკუმენტური ანალიზის მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მიდგომებს. ეს შერეული მეთოდების დიზაინი საშუალებას იძლევა მივიღოთ სტატისტიკური მონაცემები ტენდენციების შესახებ და ამავდროულად ღრმად გავიაზროთ მეთოდოლოგიური თავისებურებები და საუკეთესო პრაქტიკა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს 40 სამაგისტრო ნაშრომი განათლების მეცნიერებათა მიმართულებით, რომლებიც შექმნილია 2016-2024 წლებში. შერჩევის მეთოდი იყო მიზან-მიმართული შერჩევა მაქსიმალური ვარიაციის პრინციპით, რათა მოეცვა როგორც სტანდარ-ტული, ისე გამორჩეული მაგალითები, რაც საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს როგორც გამოწვევები, ისე საუკეთესო პრაქტიკა. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა სტრუქტუ-რირებული ანალიზის ინსტრუმენტის საშუალებით, რომელიც მოიცავდა 14 ძირითად განზომილებას: კვლევის დიზაინის ტიპი, ეტაპების თანმიმდევრობა, საკვლევი პრობლემის ფორმულირება, ნიმუშის მახასიათებლები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ინსტრუმენ-ტების ვალიდაცია, სანდოობა, მონაცემთა ანალიზის მეთოდები, ანალიზის სიღრმე, მეთოდო-ლოგიის წარმოდგენის ტიპი, შეზღუდვების რეფლექსია, ეთიკური საკითხები და კვლევითი კომპეტენციების განვითარება.

მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი მოიცავდა აღწერით სტატისტიკას და ტენდენციების იდენტიფიკაციას დროის მიხედვით, ხოლო თვისებრივი ანალიზი მოიცავდა თემატურ ანალიზს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების იდენტიფიკაციას, გამოწვევების კატეგორი-ზაციას და შედარებით ანალიზს. ანალიზის პროცესში დაცული იქნა ეთიკური პრინციპები: ნაშრომების ავტორთა ანონიმურობა, კონფიდენციალურობა და ობიექტური, რესპექტული მიდგომა.

3.კვლევის შედეგები.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ნაშრომები ჰეტეროგენულია - ნაწილი მაღალი ხარისხის, თეორიულად გამყარებული და მეთოდოლოგიურად მკაფიო კვლევებია, ხოლო ნაწილი საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებებს. კვლევის დიზაინის მიხედვით, დომინირებს რაოდენობრივი მიდგომა (55%), შემდეგ მოდის შერეული მეთოდები (30%) და თვისებრივი კვლევები (15%). რაოდენობრივი მიდგომის სიჭარბე ასახავს როგორც მისი გამოყენების სიმარ-ტივეს დამწყები მკვლევრებისთვის, ისე იმას, რომ განათლების მეცნიერებებში იგი ტრადიციულად წამყვან პარადიგმად რჩება.

შედეგების ანალიზით დასტურება, რომ **ეტაპობრივ კვლევით მომზადებას სამაგისტრო ნაშრომის ხარისხზე პირდაპირი, დადებითი გავლენა აქვს.** სისტემატურად მომზადებული სტუდენტების ნაშრომებში (40%) აშკარად ჩანს, რომ ისინი გადიოდნენ აკადემიური წერის,

კვლევითი მეთოდების და პრაქტიკის ეტაპობრივ სწავლასა და განხორციელებას. ამ ნაშრომებს გამოარჩევს **საკვლევი პრობლემის ნათლად ფორმულირება**, თემის **აქტუალობა** და **მეთოდოლოგიის მაღალ დონეზე ახსნა.** განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ პირველ ჯგუფში ნაშრომების 88%-ში მეთოდოლოგია არა მხოლოდ აღწერილია, არამედ **დასაბუთებულია, არგუმენტირებულია** და მოცემულია, რატომ არის კონკრეტული მიდგომა ოპტიმალური, ასევე განხილულია ალტერნატივებიც. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია შემდეგი ციტატა: "წინამდებარე კვლევისთვის არჩეულ იქნა შერეული მეთოდების დიზაინი, რადგან მხოლოდ რაოდენობრივი მიდგომა არ იძლეოდა საშუალებას, ღრმად გაგვეგო მასწავლებელთა პერცეფციები და მოტივაციები. თვისებრივი კომპონენტი აუცილებელი იყო, რათა ვიპოვოთ ახსნა რაოდენობრივად გამოვლენილი ტენდენციებისთვის. ალტერნატიული იყო სრულად თვისებრივი მიდგომა, თუმცა იგი ვერ მოგვცემდა საშუალებას, დაგვედგინა ტენდენციების გავრცელების მასშტაბი."

ინსტრუმენტების ვალიდაცია (75% სისტემატური მომზადების ჯგუფში) მოიცავს ინსტრუმენტების ვალიდაციის რაიმე ფორმას, ხშირია პილოტირების აღწერა პატარა ნიმუშზე. ანალიზის სიღრმეც მნიშვნელოვნად გამოირჩევა - 81% აღწევს ანალიტიკურ ან ინტერპრეტაციულ დონეს, მაშინ როცა სისტემატური მომზადების გარეშე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 29%-ია. ანალიზი არ შემოიფარგლება მონაცემების აღწერით, მკაფიოდ არის წარმოდგენილი ახსნითი მიდგომები, მონაცემები დაკავშირებულია თეორიულ ჩარჩოსთან და გამოკვეთილია პატერნები და მათი ინტერპრეტაცია.

სისტემატური მომზადების ჯგუფის ნაშრომების 69%-ში შესამჩნევია **შეზღუდვების კრიტიკული ანალიზი**. ამ ნაშრომებში შეზღუდვები არა მხოლოდ ჩამოთვლილია, არამედ გააზრებულია, **როგორ შეიძლება ისინი გავლენას ახდენდნენ შედეგების ინტერპრეტაციაზე.** საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია: "კვლევის ძირითადი შეზღუდვა იყო მოსახერხებელი შერჩევა, რაც ზღუდავს შედეგების განზოგადებას. თუმცა კვლევის მიზანი არ იყო სტატისტიკური განზოგადება, არამედ იყო ღრმა გააზრება კონკრეტული კონტექსტის. მომავალი კვლევებისთვის რეკომენდებულია კვლევის მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარება მიზანმიმართული შერჩევით."

მეთოდოლოგიის წარმოდგენის ტიპი განსხვავებულია ნაშრომებში. ნაშრომების 35%-ში მეთოდოლოგია წარმოდგენილია დასაბუთებულად. ამ ნაშრომებში ნათლად არის ახსნილი, რატომ არის მოცემული მეთოდი კვლევის შესაფერისი, მოხსენიებულია სხვა შესაძლო მიდგომები და მათი უარყოფის მიზეზები, აღიარებულია არჩეული მეთოდის როგორც ძლიერი მხარე, ისე შეზღუდვები და მეთოდი შერჩეულია კონკრეტული საკვლევი კითხვების და პირობების გათვალისწინებით. 65% ნაშრომებში კი მეთოდოლოგია გადმოცემულია სტანდარტულ ფორმატში, დასაბუთების გარეშე და მექანიკური აღწერით. ეს მიუთითებს, რომ სტუდენტები შესაძლოა მექანიკურად მიჰყვებიან შაბლონს და კრიტიკულად არ აფასებენ მეთოდოლოგიურ არჩევანს.

შეზღუდვების განხილვა არის კვლევის ხარისხის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. ნაშრომების 30%-ში გადმოცემულია შეზღუდვების დეტალური ანალიზი, მათი გავლენა შედეგების ინტერპრეტაციაზე და მოცემულია რეკომენდაციები შეზღუდვების დაძლევისთვის მომავალ კვლევებში. 45%-ში შეზღუდვები მოხსენიებულია, მაგრამ ზოგადად, ტიპური ფორმულირებებით და კონკრეტული იმპლიკაციების განხილვის გარეშე. 25%-ში არაა მითითებული კვლევის შეზღუდვები. შეზღუდვების არქონა კი ქმნის შთაბეჭდილებას "იდეალური კვლევისა", რაც არეალისტურია.

ინსტრუმენტების ხარისხის ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი ვარიაციები. ვალიდაციის მაღალი დონის ნაშრომებში (22.5%) ინსტრუმენტის შემუშავების ან ადაპტაციის პროცესი დეტალურადაა აღწერილი, განხილულია შინაარსობრივი და კონსტრუქტული ვალიდურობა. ვალიდაციის საშუალო დონის ნაშრომებში (35%) ზოგად მითითებაა ვალიდაციაზე და ინსტრუმენტის შემუშავება ნაწილობრივაა აღწერილი. 42.5%-ში არ არის მოხსენიებული ვალიდაციის რაიმე ფორმა და ინსტრუმენტი წარმოდგენილია როგორც "მოცემულობა". სანდოობის შემოწმება კი მხოლოდ ერთ ნაშრომში არის მოცემული, დანარჩენ შემთხვევებში სანდოობის საკითხი არ არის განხილული.

შედეგების ანალიზის სიღრმე შეფასებულ იქნა სამი დონის მიხედვით. ახსნითი ან ინტერპრეტაციული ანალიზი გაკეთებულია ნაშრომების 27.5% - მონაცემები დაკავშირებულია თეორიულ ჩარჩოსთან, გამოკვეთილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, წარმოდგენილია ახსნითი მოდელები ან თეორიული დასკვნები. ანალიზი სცილდება აღწერას და ინტერპრეტირებულია. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია: "თვისებრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სამი ძირითადი თემა... ეს თემები შეიძლება აიხსნას თვითგანსაზღვრის თეორიის პრიზმიდან. მასწავლებელთა მოტივაციის დაქვეითება უკავშირდება ავტონომიის, კომპეტენტურობისა და კავშირის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას."

ნაშრომების 37.5%-ში მონაცემები შედარებულია ჯგუფების ან კატეგორიების მიხედვით, დასკვნები ფორმულირებულია, მაგრამ შეზღუდულია ინტერპრეტაცია. აღწერითი დონის ნაშრომები (35%) შემოიფარგლება მონაცემების აღწერით, სიხშირეების, პროცენტების და ციტატების მოყვანით, მინიმალური ინტერპრეტაციით ან ახსნით.

ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც გამოირჩევიან მეთოდოლოგიური სიღრმით. ერთ-ერთი მაგალითი არის შერეული მეთოდების ოპტიმალური ინტეგრაცია, სადაც კითხვარის საშუალებით მიღებული რაოდენობრივი მონაცემები ავლენდა ტენდენციებს და ფოკუს-ჯგუფური დისკუსიები გამოყენებული იყო რაოდენობრივი მონაცემების ახსნისთვის, ორივე ტიპის მონაცემი იყო სინთეზირებული საბოლოო ინტერპრეტაციაში და მკაფიოდ იყო აღწერილი, როგორ აძლიერებდა ერთი მეთოდი მეორეს. მეორე მაგალითი არის შეზღუდვების ღრმა რეფლექსია: "კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური შეზღუდვა იყო კროს-სექციული დიზაინი, რომელიც საშუალებას არ იძლევა დავადგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები მიუთითებს კორელაციებზე პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პრაქტიკას შორის, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი იწვევს მეორეს. ამისთვის საჭირო იქნებოდა ლონგიტუდინური დიზაინი ან ექსპერიმენტული ინტერვენცია." მესამე მაგალითი არის მეთოდოლოგიის ანალიტიკური დასაბუთება: "კვლევისთვის არჩეულ იქნა კონსტრუქტივისტური პარადიგმა, რადგან კვლევის მიზანი იყო არა ობიექტური რეალობის გაზომვა, არამედ მასწავლებელთა სუბიექტური გამოცდილების გააზრება. ალტერნატიული იქნებოდა რაოდენობრივი მეთოდებით კვლევა, თუმცა ის ვერ მოგვცემდა საშუალებას, ჩავწვდომოდით მნიშვნელობათა სიღრმეს და კონტექსტის კომპლექსურობას."

მიუხედავად პოზიტიური მაგალითებისა, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე სისტემური გამოწვევა: 1. მეთოდოლოგიის აღწერითი წარმოდგენა 65% ნაშრომში, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტები შესაძლოა არ იცნობენ მეთოდოლოგიის დასაბუთების მნიშვნელობას ან მიჰყვებიან შაბლონს კრიტიკული გააზრების გარეშე. 2. შეზღუდვების არასაკმარისი რეფლექსია 70% ნაშრომში. 3. ინსტრუმენტების ვალიდაციის ნაკლებობა 42.5% ნაშრომში, რაც აფერხებს შედეგების სანდოობას. 4. კვლევის ობიექტის შერჩევის არასაკმარისი დასაბუთება 60% ნაშრომში. 5. ლიტერატურისა და ემპირიული ნაწილის სუსტი ინტეგრაცია 55% ნაშრომში.

4.შედეგების ანალიზი.

კვლევამ დაასაბუთა, რომ ეტაპობრივი, სისტემატური მომზადება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის ხარისხისთვის. ნაშრომები, სადაც ჩანს, რომ სტუდენტები გადიან თანმიმდევრულ მომზადებას, მნიშვნელოვან შედეგებს ავლენენ თითქმის ყველა მეთოდოლოგიურ განზომილებაში. ეს მიგნება შეესაბამება საერთაშორისო ლიტერატურას. სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს ეტაპობრივი მომზადება, უკეთ აყალიბებდნენ საკვლევ პრობლემას, ანალიტიკურად წარმოადგენდნენ მეთოდოლოგიას, უფრო ხშირად ახორციელებდნენ ინსტრუმენტების ვალიდაციას, ღრმად ანალიზებდნენ მონაცემებს და კრიტიკულად აფასებდნენ შეზღუდვებს.

მეთოდოლოგიის აღწერითი წარმოდგენის დომინირება (65%) წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. სენდელოვსკი (2010) ხაზს უსვამს, რომ მეთოდოლოგიის სექცია არ უნდა წარმოაჩენდეს მხოლოდ "რას და როგორ", არამედ უნდა იკვეთებოდეს "რატომ" - უნდა ხდებოდეს მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების რაციონალობისა და ლოგიკის განხილვა. როდესაც სტუდენტი უბრალოდ აღწერს მეთოდოლოგიას, ეს შეიძლება მიუთითებდეს მექანიკურ მიდგომაზე კვლევისადმი, მეთოდოლოგიური არჩევანის ფილოსოფიური საფუძვლების არასაკმარის გააზრებაზე. მეთოდოლოგიის ანალიტიკური წარმოდგენა, აჩვენებს, რომ სტუდენტს ღრმად ესმის კვლევის დიზაინის ლოგიკა, შეუძლია დაასაბუთოს მეთოდოლოგიური არჩევანი, აცნობიერებს როგორც არჩეული მეთოდის პოტენციალს, ისე შეზღუდვებს და ფლობს მეტაკოგნიტურ უნარებს - უნარს, დაფიქრდეს საკუთარი კვლევითი პროცესის შესახებ.

შეზღუდვების არარსებობა ან ზოგადი მითითება ნაშრომში წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას. პრაისი და მურნანი (2004) აღნიშნავენ, რომ შეზღუდვების აღიარება არის სამეცნიერო პატიოსნების გამოხატულება, კრიტიკული თვითშეფასების უნარის მაჩვენებელი და კვლევის კონტექსტუალიზაციის ინსტრუმენტი. იმ ნაშრომებში, სადაც შეზღუდვები კრიტიკულად არის განხილული, ჩანს სამი მნიშვნელოვანი ელემენტი: სპეციფიკურობა (კონკრეტული იდენტიფიკაცია), იმპლიკაციების ანალიზი (როგორ გავლენას ახდენს შეზღუდვები შედეგების ინტერპრეტაციაზე) და პერსპექტივა (რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო განსხვავებულად და რა რეკომენდაციები არის მომავალი კვლევებისთვის).

ინსტრუმენტების ვალიდაციის არარსებობა ნაშრომში წარმოადგენს სერიოზულ მეთოდოლოგიურ გამოწვევას. ფილდი (2018) და დეევერი (2016) ხაზს უსვამენ, რომ ინსტრუმენტის ხარისხი პირდაპირ განსაზღვრავს კვლევის შედეგების სანდოობას და ვალიდურობას. კვლევითი ინსტრუმენტი არის "სათვალე", რომლის საშუალებითაც ვხედავთ საკვლევ რეალობას. ვალიდაციის არარსებობა შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით: ცოდნის ნაკლებობით (სტუდენტები შესაძლოა არ იცნობენ ვალიდაციის პროცედურებს), რესურსების შეზღუდვით (ვალიდაცია მოითხოვს დროს, ექსპერტებს, პილოტირებას) და აღქმით (ვალიდაცია შეიძლება აღიქმებოდეს როგორც "სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი"). თუმცა პოზიტიური ტენდენციაა, რომ ეტაპობრივი მომზადების ფარგლებში სტუდენტები უფრო ხშირად ახორციელებენ ვალიდაციას, რაც მიუთითებს, რომ სწორი განათლებით და მხარდაჭერით ეს პრობლემა გადასაჭრელია.

წინამდებარე კვლევამ სისტემატურად გააანალიზა 40 სამაგისტრო ნაშრომი განათლების მეცნიერებების სფეროდან, რის შედეგადაც გამოიკვეთა როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევები, ისე დამაჯერებელი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის, რომ სისტემატური, ეტაპობრივი მომზადება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს

სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს თითქმის ყველა მეთოდოლოგიურ განზომილებაში. ეს მიგნება ადასტურებს საერთაშორისო ლიტერატურის დასკვნებს და უსვამს ხაზს ინვესტიციის მნიშვნელობას სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების თანმიმდევრულ, სისტემატურ განვითარებაში.

კვლევამ ასევე გამოკვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ნაშრომებისა (27.5%), რომლებიც აკმაყოფილებენ მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს და წარმოადგენენ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს: ინსტრუმენტების სისტემატური შემუშავება და ვალიდაცია, შერეული მეთოდების რეალური ინტეგრაცია, ღრმა, მრავალდონიანი თვისებრივი ანალიზი, მეთოდოლოგიის ანალიტიკური დასაბუთება და შეზღუდვების კრიტიკული რეფლექსია. ეს მაგალითები აჩვენებს, რომ მაღალი ხარისხი არის მიღწევადი არსებულ პირობებშიც და წარმოადგენს მოდელებს სხვა სტუდენტებისა და პროგრამებისთვის.

მიუხედავად პოზიტიური მაგალითებისა, კვლევამ გამოავლინა გარკვეული სისტემური გამოწვევები: მეთოდოლოგიის აღწერითი წარმოდგენა (65%), შეზღუდვების არასაკმარისი რეფლექსია (70%), ინსტრუმენტების ვალიდაციის ნაკლებობა (42.5%), კვლევის ობიექტის შერჩევის არასაკმარისი დასაბუთება (60%) და ლიტერატურისა და ემპირიული კვლევის სუსტი ინტეგრაცია (55%).

კვლევა აფართოებს არსებულ ლიტერატურას სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით. იგი უზრუნველყოფს ემპირიულ მხარდაჭერას ვისკერის (2012) და პალტრიჯისა და სტარფილდის (2007) თეორიულ მოდელებს კვლევითი კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარების შესახებ და აჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ ეტაპობრივი მიდგომა არის ეფექტური, არამედ აკონკრეტებს, რომელ სპეციფიკურ განზომილებებში ხდება გაუმჯობესება. მეორე, კვლევას შემოაქვს კონცეპტუალური განსხვავება მეთოდოლოგიის აღწერით და ანალიტიკურ წარმოდგენას შორის, რაც აქამდე არ იყო ექსპლიციტურად კონცეპტუალიზებული ლიტერატურაში. ამასთან კვლევა ამყარებს და აფართოებს პრაისისა და მურნანის (2004) და როსისა და ბიგსის (2012) შრომებს შეზღუდვების რეფლექსიის მნიშვნელობაზე და აჩვენებს, რომ შეზღუდვების კრიტიკული განხილვა არის არა მხოლოდ სამეცნიერო პატიოსნების მაჩვენებელი, არამედ მეტაკოგნიტური განვითარების და კრიტიკული აზროვნების ინდიკატორი.

კვლევა ფლობს რამდენიმე შეზღუდვას. პირველი შეზღუდვა ეხება ნიმუშის ზომას და რეპრეზენტატიულობას - 40 ნაშრომი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ძირითადი ტენდენციები, თუმცა არ იძლევა საქართველოს ყველა უნივერსიტეტის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობას და მოიცავს მხოლოდ განათლების მეცნიერებების მიმართულებას.

კვლევა ეფუძნება მხოლოდ დოკუმენტურ ანალიზს, ხოლო პირდაპირი ინტერვიუები სტუდენტებთან, ხელმძღვანელებთან და ადმინისტრატორებთან მოგვცემდა უფრო სრულ სურათს.

კვლევა ანალიზს უკეთებს 2016-2024 წლების ნაშრომებს, მაგრამ არ ადევნებს თვალყურს დინამიურ ცვლილებებს დროთა განმავლობაში, რაც ზღუდავს დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ცვლილებებთან მიმართებაში.

5.დასკვნა.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური კვალიფიკაციის მოპოვების ფორმალურ მოთხოვნას, არამედ კრიტიკულ განვითარების მომენტს მომავალი პროფესიონალებისა და მკვლევრებისთვის. ეს არის პროცესი, რომელიც აყალიბებს კრიტიკული

აზროვნების, სისტემატური ანალიზის და ცოდნის გენერირების უნარებს - უნარებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოცდამეერთე საუკუნის კომპლექსურ, ცვლად სამყაროში.

ამ კონტექსტში, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესება არის ინვესტიცია არა მხოლოდ ინდივიდუალური სტუდენტების განვითარებაში, არამედ საზოგადოების უფრო ფართო პოტენციალში - განათლების სისტემაში, რომელიც ქმნის პრაქტიკოსებს, პედაგოგებს და ლიდერებს, რომლებიც შეძლებენ კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია, სისტემატურად გამოიკვლიონ პრობლემები და გააკეთონ ინფორმირებული, გააზრებული გადაწყვეტილებები.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი ხარისხი არის მიღწევადი და რომ არსებობს კონკრეტული, რეალიზებადი გზები მის მისაღწევად. ეტაპობრივი, სისტემატური მიდგომა კვლევითი კომპეტენციების განვითარებისადმი იძლევა ძლიერ პოზიტიურ შედეგებს. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები აჩვენებს, რომ ქართველ მაგისტრანტებს შეუძლიათ შექმნან ნაშრომები, რომლებიც აკმაყოფილებენ მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს.

გამოწვევა მდგომარეობს ამ მიდგომებისა და პრაქტიკების ფართო მასშტაბით გავრცელებაში.

რეკომენდაციები:

კვლევის შედეგების საფუძველზე მნიშვნელოვანია, მაგისტრატურის პროგრამებში გაძლიერდეს ეტაპობრივი, თანმიმდევრული კვლევითი მომზადება.

საყურადღებოა კვლევითი წინადადების სავალდებლო დამტკიცება - სამაგისტრო ნაშრომის დაწყებამდე დაინერგოს კვლევითი წინადადების სისტემა, რომელიც მოიცავს საკვლევი პრობლემის ფორმულირებას და დასაბუთებას, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მიზნებს და საკვლევ კითხვებს, თეორიულ ჩარჩოს, დეტალურ მეთოდოლოგიას და მოსალოდნელ წვლილს. წინადადება უნდა განიხილოს დეპარტამენტმა და დეტალური წერილობითი უკუკავშირი უნდა მიეცეს სტუდენტს.

მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტიზებული შეფასების რუბრიკის შემუშავება, სადაც მეთოდოლოგიური კომპონენტი შეადგენს 30-40% საერთო შეფასებისა და დადგენილია სტანდარტები ინსტრუმენტების ვალიდაციის, შეზღუდვების კრიტიკული განხილვისა და მეთოდოლოგიის ანალიტიკური დასაბუთებისთვის.

ყურადსაღებია კვლევითი მხარდაჭერის სერვისების შექმნა - სასარგებლოა, უსდ-ებში შეიქმნას კვლევითი მხარდაჭერის ცენტრები, რომლებიც შესთავაზებენ სტუდენტებს მეთოდოლოგიურ კონსულტაციებს, სტატისტიკური (ასისტენტი სტატისტიკური ანალიზისთვის) და თვისებრივი კვლევის მხარდაჭერას (ტრენინგები NVivo, MAXQDA-ზე).

რეკომენდირებულია ღია ხელმისაწვდომობისთვის ელექტრონული არქივის შექმნა და ყველა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განთავსებას (ავტორის თანხმობით), ამასთან, მაღალი ხარისხის ნაშრომების სპეციალური გამოყოფა, როგორც "საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები", რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს მაღალი ხარისხის მოდელების ნახვაში.

აუცილებელია კვლევითი კულტურის განვითარება - სემესტრული კვლევითი კოლოკვიუმების ორგანიზება, ყოველწლიური სტუდენტური კვლევითი კონფერენციის ორგანიზება და პუბლიკაციის წახალისება.

საყურადღებოა:

სტუდენტებში მეთოდოლოგიური განათლების გაღრმავება - დამატებითი რესურსების გამოყენება (ონლაინ კურსები, ტუტორიალები), პროგრამული უნარების განვითარება (სტატისტიკური და თვისებრივი ანალიზის პროგრამების დაუფლება).

სტუდენტთა კვლევითი ჯგუფების შექმნა (სამიდან ხუთ სტუდენტამდე), რომლებიც რეგულარულად შეიკრიბებიან იდეების გასაზიარებლად და ერთმანეთის ნაშრომების კონსტრუქციული კრიტიკისთვის.

სტუდენტებისთვის კვლევითი ჟურნალის წარმოება, სადაც რეგულარულად დაფიქსირდება კვლევით პროცესზე ფიქრები, გადაწყვეტილებები და გამოწვევები.

აუცილებელია სტრუქტურირებული სამეცნიერო ხელმძღვანელობა - მკაფიო მოლოდინები და გრაფიკი, დაგეგმილი შეხვედრები კონკრეტული დღის წესრიგით და წერილობითი უკუკავშირით დრაფტებზე.

საყურადღებოა კვლევის დიზაინის ეტაპზე აქტიური ჩართვა, დახმარება საკვლევი პრობლემის დაზუსტებაში, მეთოდოლოგიური არჩევანის კრიტიკული განხილვა და ინსტრუმენტების შემუშავებაში კონსულტაცია. ამასთან, კრიტიკული რეფლექსიის ხელშეწყობა - შეზღუდვების განხილვის წახალისება. მაგალითების მიცემა შეზღუდვების რეფლექსიის საუკეთესო პრაქტიკიდან და მეთოდოლოგიური დასაბუთების მოთხოვნა.

სასარგებლოა მეთოდოლოგიური ვორქშოფების ორგანიზება, რეგულარული ტრენინგები თანამედროვე კვლევის მეთოდებზე და პრაქტიკული სესიები ანალიზის პროგრამების გამოყენებაზე; რეგიონალური კოლაბორაცია - უნივერსიტეტებს შორის კოორდინაცია, რესურსების გაზიარება (მონაცემთა ბაზები, პროგრამული უზრუნველყოფა), საერთო კვლევითი კონფერენციების ორგანიზება და ექსპერტიზის გაზიარება. რეგიონალური კვლევითი ქსელების შექმნა და რეგიონალური სამეცნიერო ჟურნალის დაარსება სტუდენტური კვლევებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

Braun, V., & Clarke, V. (2006). Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology*, 3(2), 77-101.

Bryman, A. (2016). *Social research methods* (5th ed.). Oxford: Oxford University Press.

Cohen, L., Manion, L., & Morrison, K. (2018). *Research methods in education* (8th ed.). London: Routledge.

Creswell, J. W. (2014). *Research design: Qualitative, quantitative, and mixed methods approaches* (4th ed.). Thousand Oaks, CA: SAGE Publications.

Creswell, J. W., & Creswell, J. D. (2018). *Research design: Qualitative, quantitative, and mixed methods approaches* (5th ed.). Thousand Oaks, CA: SAGE Publications.

Field, A. (2018). *Discovering statistics using IBM SPSS Statistics* (5th ed.). London: SAGE Publications.

Flick, U. (2018). *An introduction to qualitative research* (6th ed.). London: SAGE Publications.

Miles, M. B., Huberman, A. M., & Saldaña, J. (2014). *Qualitative data analysis: A methods sourcebook* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: SAGE Publications.

Paltridge, B., & Starfield, S. (2007). *Thesis and dissertation writing in a second language*. London: Routledge.

Price, J. H., & Murnan, J. (2004). Research limitations and the necessity of reporting them. *American Journal of Health Education*, 35(2), 66-67.

Sandelowski, M. (2010). What's in a name? Qualitative description revisited. *Research in Nursing & Health*, 33(1), 77-84.

Wisker, G. (2012). *The good supervisor: Supervising postgraduate and undergraduate research for doctoral theses and dissertations* (2nd ed.). Basingstoke: Palgrave Macmillan.

Methodological Aspects of Master's Research: Challenges and Best Practices

Marine Gurgenidze, Nani Mamuladze, Ana Okropiridze

Batumi Shota Rustaveli State University

marine.gurgenidze@bsu.edu.ge, n.mamuladze@bsu.edu.ge

Abstract

The present study aims to assess the quality of the methodology used in master's theses, identify both challenges and best practices, and develop practical recommendations. The analysis is based on a documentary study of 40 master's theses (Educational Sciences, 2016–2024), which combines both quantitative and qualitative approaches.

The study revealed that the systematic, stage-by-stage development of students' research competencies significantly improves the quality of master's theses. Programs that include sequential courses in academic writing, research methods, and research practice are more likely to enable students to better formulate research problems in their papers, analytically communicate methodology, and provide in-depth interpretations of results. The study also identified clear systemic challenges: insufficient reflection on research limitations in some papers, descriptive presentation of methodology, and insufficient justification of research object selection strategies. The paper presents comprehensive recommendations and examples of best practices aimed at further enhancing research quality.

Keywords: Master's thesis, research methodology, research competencies, quality assurance